ო ქ მ ი N 3

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის კომისიის სხდომისა.

ქ. ხობი. 2020 წლის 27 მარტი.

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

1.ვლადიმერ ქანთარია

2.ნიკოლოზ ვეკუა

3.იგორ გოგოლაძე

4.გოჩა ჯობავა

5.გენადი ქაძანაია

6.აკაკი ხურნაცილავა

7.როლანდ სერგია

8.რამინი ხილაძე

9.გიჩა სიჭინავა

10.შადიმან ჭილაია

11.კონსტანტინე ნასარაია

12.მერაბ ნადარაია

13.კახა ლატარია

14.დავით ცინაძე

(სხდომას თავმჯდომარეობდა ვ. ქანთარია - კომისიის თავმჯდომარე).

დღის წესრიგი:

1.ხობის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებლის ვ. გაბედავას 2020 წლის 13 მარტის N 06/815 წერილის განხილვა („საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში ხობის მუნიციპალიტეტში 2020 წელს დასაფინანსებელი პროექტების დამტკიცების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 28 თებერვლის N 59 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე" განკარგულების პროექტის შესახებ);

(მომხსენებელი: ვ. ქანთარია - ხობი8ს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე);

2.ხობის მუნიციპალიტეტის მერის გ. ქაჯაიას 2020 წლის 20 მარტის N 06/883 წერილის განხილვა („საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ხობის მუნიციპალიტეტში 2020 დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმართველობის პროექტების დაფინანსების მიზნით მომზადებული წინადადებების მოწონების შესახებ" განკარგულების პროექტის თაობაზე);

(მომხსენებელი: ვ. ქანთარია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე);

კენჭი ეყარა დღის წესრიგის წარმოდგენილ ვარიანტს:

კენჭისყრის შედეგები: მომხრე 14, წინააღმდეგი არც ერთი.

დაადგინეს: დღის წესრიგი დამტკიცდეს წარმოდგენილი სახით.

დღის წესრიგით წარმოდგენილი საკითხების განხილვა:

1.ხობის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებლის ვ. გაბედავას 2020 წლის 13 მარტის N 06/815 წერილის განხილვა („საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში ხობის მუნიციპალიტეტში 2020 წელს დასაფინანსებელი პროექტების დამტკიცების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 28 თებერვლის N 59 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე"' განკარგულების პროექტის შესახებ);

(მომხსენებელი: ვ. ქანთარია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე);

მოისმინეს: მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო, ხობის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებლის ვ. გაბედავას 2020 წლის 13 მარტის N 06/815 წერილი (საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში ხობის მუნიციპალიტეტში 2020 წელს დასაფინანსებელი პროექტების დამტკიცების შესახებ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 28 თებერვლის N 59 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე განკარგულების პროექტი.

კომისიის სხდომაზე განიხილეს პროექტში შეტანილი ცვლილებები და ახალი განკარგულებით დამტკიცებული დანართი, რომელიც თან ერთვის სამ ფურცელზე.

სამართლებრივი საფუძველი „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 59 - მუხლი.

სხდომაზე აღინიშნა, რომ წარმოდგენილი განკარგულების პროექტი აკმაყოფილებს საქართველოში მოქმედ კანონმდებლობას.

მომხსენებელმა მიზანშეწონილად მიიჩნია მისი წარმოდგენილი სახით შესწორებების გათვალისწინებით გატანა საკრებულოს უახლოეს სხდომაზე, საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად.

კომისიის წევრების მხრიდან საწინააღმდეგო აზრი არ გამოთქმულა. რის შემდეგაც კომისიის თავმჯდომარე შემოვიდა წინადადებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი კომისიის დასკვნასთან ერთად წარედგინოს საკრებულოს ბიუროს სხდომას.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ წინადადებას:

კენჭისყრის შედეგები: მომხრე 14, წინააღმდეგი არც ერთი.

დაადგინეს: წარმოდგენილი განკარგულების პროექტი, დასკვნასთან ერთად წარედგინოს საკრებულოს ბიუროს სხდომას.

2.ხობის მუნიციპალიტეტის მერის გ. ქაჯაიას 2020 წლის 20 მარტის N 06/883 წერილის განხილვა („საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ხობის მუნიციპალიტეტში 2020 წელს დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმართველობის პროექტების დაფინანსების მიზნით მომზადებული წინადადებების მოწონების შესახებ“ განკარგულების პროექტების თაობაზე);

(მომხსენებელი: ვ. ქანთარია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე);

მოისმინეს: მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო ხობის მუნიციპალიტეტის მერის გ, ქაჯაიას 2020 წლის 20 მარტის N 06/883 (საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ხობის მუნიციპალიტეტში 2020 წლის დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმართველობის პროექტების დაფინანსების მიზნით მომზადებული წინადადებების მოწონების შესახებ“ წერილის შინაარსი.

მომხსენებელმა განაცხადა, რომ „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალიწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმართველობის და რეგიონული პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის N 23 დადგენილების შესაბამისად, ხობის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ მომზადდა წინადადებები მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 2020 წლისთვის განსახორციელებელ სამუშაოებთან დაკავშირებით, რაც

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან შესაბამისი ფინანსური უზრუნველყოფისთვის უნდა წარედგინოს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს. (მომზადებული წინადადებების ნუსხა თან ერთვის ოქმს ერთ ფურცელზე).

კომისიის თავმჯდომარემ სთხოვა კომისიის წევრებს გამოეთქვათ მოსაზრება წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით, თუმცა კომისიის წევრების მხრიდან განსხვავებული მოსაზრებები არ გამოთქმულა.

მომხსენებელი შემოვიდა წინადადებით წარმოდგენილი საკითხი და კომისიის დასკვნა წარედგინოს საკრებულოს ბიუროს

კენჭი ეყარა წარმოდგენილ წინადადებას:

კენჭისყრის შედეგები: მომხრე 14, წინააღმდეგი არც ერთი.

დაადგინეს: წარმოდგენილი საკითხი და კომისიის დასკვნა წარედგინოს საკრებულოს ბიუროს სხდომას.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის შემდეგ სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სხდომის თავმჯდომარე: /ვ. ქანთარია/